საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 163 კვირა, თებერვლის 4 (17) 1918 წ. № 163

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ოსმალეთთან ზავის შეკვრის შესახებ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა, რომ ზავის პირობებს ამიერ-კავკასიის სეიმი შეიმუშავებს.—რუმინიის კაბინეტი გადადგა.—გერმანიამ რუმინიას ულტიმატუმი წარუდგინა.—გარდაიცვალა ექს-სულტანი აბდულ-გამიდი.—გორის მაზრაში ტერორი ძლიერდება.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 ხაზის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ძ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

პოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ", поч. ящ. 190.

ფასი 20 კაპ.

ტელეფონი 12—29

კოოპერატივებო და კოოპერატორებო, დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით. ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

1061 **საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია. ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.**

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახალხო საქმე"-ზე

ხელის მოწერის პირობები: წლით 50 მანეთი, ნახევარი წლით 27 მან., 3 თვით—13 მან. 50 კაპ. ერთი თვით—4 მან. 50 კაპ.

ნომერი ღირს 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით *Тифлисъ, ред. „Сахалхо Сакме", почт. ящ. 190,*

რედაქციაში მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—7 საათამდე. რედაქციის მისამართი: სასახლის ქ. № 6, შესავალი ეზოდან. კვირაობით კანტორა მხოლოდ დილით არის ღია.

ყველა ხელის მომწერს ვინც მიიღო რედაქციიდან ხელის მოსაწერი ბლანკები ვთხოვთ ფული გამოგზავნონ შეცვლილ განცხადების მიხედვით.

გულ-დამწვარნი შვილები: ივანე, გიორგი, ნინო და ოლღა, რძლები: ნინო, მარიამ, სიძეები: პავლე სამხარაძე, ტატე ხიზანაშვილი, შაქრო ედიშერაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ,

მელანია ედიშერაშვილის

უეცრად გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან (ლისაგორის შესახ., № 18) მოხდება კვირას, 4 თებერვალს, დილის 9-ნახევარ საათზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე.

კვირას, 4 თებერვალს, კალოუბნის ეკლესიაში გადახდილ იქნება ერთი წლის წირვა, რომელიც დაიწყობა 10 საათზე და წირვის შემდეგ გადაიხდება პანაშვიდი გარდაცვალებულის

პლატონ დიმიტრისძის ცაგარელის

სულის მოსახსენებლად, რასაც ძმა ნესტორი, და თამარა, სიძე ნადირაძე თავის მეუღლით ოლღათი და ბიძაშვილი ივანე ცაგარელი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებსა. 158

---

5 თებერვალს, დილის 12 საათზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ეკატერინე მიხეილის ასულის მაჩაბლის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ქმარი ზაალ ივანესძე და ასული ელისა მაჩაბლები. 161

დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღთ., სპეც. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს 4 თებერვალს, გაიმართება

ორი გრანდიოზული წარმოდგენა:

საბავშვო დღესასწაული დღისით, საღამოს **ახალი პროგრამით.** დაწვრილებითი ცნობები აფიშებში. 5 საინტერესო ჭიდაობა: 1. ილოვი და ორლიანოვი; 2. იაგუარი და ევსტაფიევი; 3. ცილინი და მედელაური; 4. ჯოე მორა და დობრინინი; 5. ზბიშკო და სვობოდა.

ანონსი: ამ დღეებში გასტროლები ცოცხალის გვამის პეტროვისა. სამშაბათს, 6 თებერვალს, ბენეფისი რუსეთის ფალავნის სიმონ ჩურკინისა. მოდის ახალი დასი. რკინის გზებზე დაბრკოლებათა გამო ახალმა დასმა ცოტა შეიგვიანა. 159

დღეს, 4 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი გორის მაზრის სოფ. სასხორში მოკლულთა

ივანე გიორგისძის ყარანგოზიშვილისა, მისი მეუღლის ანასტასია სოლომონის ასულის და შვილის გიორგის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმა განსვენებულისა ნიკოლოზ გიორგისძე ყარანგოზიშვილი და ძმისწულები მისი. 162

ქართული კლუბი

წარმოდგენა № 31.

ორშაბათს, 5 თებერვალს, 1918 წ. ტფილისის ქართ. დრამ. დასის მიერ ვალ. გუნიას მონაწილეობით წარმ. იქნება:

ალლუმი

კომ. 4 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქალნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., ქიქოძე ა., შოთაძე ა., ივერიელი ა., კავთელი ა., ჩერქეზიშვილი ე.; ვაჟნი: გუნია ვ., გვარამაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., [illegible] გ., იმედაშვილი ა., გუვიძე ი., კობახიძე ი., მაჭარაძე ვ., შალიკაშვილი ვ., ციციშვილი ნ.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. რეჟ. **ვ. შალიკაშვილი.** 175

საქართველოს ეროვნული საბჭო

(მე-7 კრება)

კვირას, 4 თებერვალს, დილის 12 საათზე.

განსახილველი საგნები:

1. მოხსენება ტფილისის სათავადაზნაურო სადგილმამულო ბანკის მდგომარეობის შესახებ.
2. სექციების წარმომადგენლების შესახებ.
3. საზოგადო მზრუნველობის სექციის დაარსება.
4. 500 000 მან. სესხის აღება.
5. მიმდინარე საკითხები.

1064

---

11 თებერვალს დანიშნულია კოოპერატივ

მეურნეს

ჩვეულებრივი წლიური კრება. განსახილველი საგნები:

1. წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;
2. 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება,
3. მიმდინარე საკითხები;
4. წესდების ძალით გასულ გამგეობის ორი წევრის არჩევა.

კრება მოხდება ახალ კლუბში, დილის 12 საათზე.

კრება მეორეჯერ ინიშნება და კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 1065

გამოვიდა ჟურნალ „პრომეთეს" პირველი ნომერი

ჟურნალი 3 თვით ეღირება ცხრა მანეთი, კელზე მყიდველებისათვის 4 მანეთი.

ჟურნალზე კელის მოწერა მიიღება: **ტფილისში „სახალხო საქმის" კონტორაში. ქუთაისში გიგლა მეზუკესთან „ხალხის მეგობრის" რედაქციაში, თინა გველესიანთან. ბათუმში სერგო გერსამიასთან. ახალ სენაკში გ. ჯაკობიასთან. ჭიათურაში ნინო დგებუაძესთან. ხონში მოსიკ პელიძესთან. გორში სიმონ მაჭავარიანთან. თელავში სიმონ წერეთელთან.**

პირველი ნომრის კელზე ყიდვა შეიძლება ჯერ-ჯერობით ტფილისში „სახალხო საქმის" კანტორაში, ქართველთა შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ქართული კლუბის შესავალთან სიმონ გალაშვილის „კიოსკში". ყოველივე მასალა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი ფოსტის ყუთი 190. პრომეთეს რედაქციას.

ტფილისი, 4 თებერვალი 1918 წ.

მთავრობა და დემობილიზაცია

კავკასიის ფრონტისაკენ არა ერთი კორპუსი გამოუგზავნია ევროპიულ სახელმწიფოთ. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა სომხეთის ორომტრიალის ამ ცენტრს ინგლისი. იყო დრო, როცა გერმანელები მაკენზენის გამოგზავნას აპირებდნენ კავკასიის ფრონტზე. რუსეთმა კი დიდძალ ჯარს მოუყარა თავი, აურიცხელ სურსათს. ამ ჟამად სწარმოებს დემობილიზაცია ყველა ძალისა, ლიკვიდაცია ომის და ყველა იმ დაწესებულებისა, რომელიც ომის არსებობამ შექმნა.

ყველასთვის ცხადი იყო, რომ მობილიზაციის ტეხნიკა მშვიდობიან ფორმებში შეიძლება ჩამოყალიბდეს, ვიდრე დემობილიზაციის ტეხნიკა. ყველა ვამბობდით, რომ დემობილიზაცია ერთნაირ საშიშროებას წარმოადგენს, მოსალოდნელია ქარიშხალივით გადაიაროს ქვეყანაზე და დიდი ზიანი მოგვიტანოს. დღეს სწორედ ასეთ ხანაში ვართ, დემობილიზაცია ცუდად მიდის, თუმცა რაც ხდება და შეიძლება კიდევ მოხდეს—არავითარ საოცრებას არ წარმოადგენს. დემობილიზაციის ეს ტალღა უნდა ავიტანოთ, ყველამ ხელი შეუწყოთ მთავრობას, რომ რაც შეიძლება მშვიდობიანად და რიგიანად მოხდეს იგი.

მაგრამ არის სხვა მხარე დემობილიზაციისა, რომელსაც მშრომელ დემოკრატიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც ვიცით, ომმა მთელი ეკონომიური ორგანიზაცია ომს დაუმორჩილა და ომის მოსპობა სპობს მრავალ დაწესებულებას, ქარხანას, სახელოსნოს, საავადმყოფოს, მაღაზიას და სხ. არა ერთი და ორი მილიონი კაცი იყო ჩათრეული ომისათვის საჭირო ორგანიზაციებში და ომის ლიკვიდაცია რამდენიმე მილიონ მშრომელ და ჯანსაღ მუშას გარიყავს უმუშავრობის მოედანზე. საქართველოში დემობილიზაციით შექმნილმა კრიზისმა ამ მხრივ უკვე იჩინა თავი. დაიხურა და იხურება ქალაქთა კავშირის, საერობო კავშირის, სხვა და სხვა „დრუჟინის", საავადმყოფოს, მაღაზიების და სხვ. ხასიათის დაწესებულებები, რომლის მუშა-მოსამსახურენი უპატრონოდ, ულუკმაპუროდ და უმუშევრად რჩებიან.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება და მთავრობა ამ მოვლენას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს, არ არსებობს ისეთი ცოცხალი საზოგადოებრივი პროექტი, რომელიც დემობილიზაციის ამ მხარეს სერიოზულ ყურადღებას აქცევდეს. ნურავის ეგონება, რომ დემობილიზაცია ასე უმტკივნეულოდ ჩატარდება და უმუშევართა კრიზისი თავსამტვრევ საკითხად არ გადაგვექცევა. დღეს კიდევ შეძლება ორიოდე გროში გამოყვეს ამა თუ იმ მუშა-მოსამსახურეს ოთხი წლის სამსახურის შემდეგ, მაგრამ თანამედროვე სიძვირე მათ „გროშებს" მალე მოუღებს ბოლოს და ხალხის დიდ უმრავლესობას ჩააგდებს გამოუვალ გასაჭირში, რაიცა უეჭველად გამოიწვევს მდგომარეობას და შექმნის ათასგვარ ექსცესების პირობებს. საზოგადოებრივ მეუდროებისა და მწარმოებელ ძალთა განვითარებისათვის მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ საკითხს დღესვე მივაქციოთ სერიოზული ყურადღება და გარიყულ ხალხს საცხოვრებელი საშუალება აღმოუჩინოთ.

რასაკვირველია, ამ საკითხის მოგვარება სინეკურების თვალსაზრისით არ შეიძლება. სინეკურების ხანა გავიარეთ და უფრო საზოგადოებრივ-დემოკრატიული მოტივები უნდა ვიხელმძღვანელოთ. განა ჩვენ ქვეყანას ეხლა არ ესაჭიროება დიდი საეკონომიო მუშაობა? ომისათვის ხომ მილიონ ხალხის ენერგია იხარჯებოდა, ეს ენერგია სახალხო მეურნეობას აკლდებოდა უმთავრესად. ამის გამო დიდად დაქვეითდა ჩვენი ქვეყნის მთელი ალებმიცემობა და კულტურა. ხელოვნურად შერყეული საზოგადოებრივ-საეკონომიო მუშაობა მთავრობის ღონისძიებით უნდა ხელოვნურადვე და დაჩქარებით გაუმჯობესდეს. დღემდე თუ სამხედრო-სტრატეგიულ გზებისათვის იხარჯებოდა ფული და ენერგია, დროა ეხლა მაინც ეს ენერგია და ფული მოხმარდეს საზოგადო-საეკონომიო ცხოვრების გზებს, რკინის ლიანდაგების გაყვანას, ჭაობების დაშრობას, საზოგადოებრივ მინდვრების დამუშავებას, საავადმყოფოების გამრავლებას, სკოლების დაარსებას, რომ მთელი ფიზიკური და ინტელექტუალური ენერგია სახალხო კეთილდღეობას მოხმარდეს.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს საქმე რთულია და ძნელი, მაგრამ ყოველივე საზოგადოებრივ საქმის ორგანიზაცია ასევე რთულია და სწორედ იმიტომ, რომ რთულია, მთავრობამ დაუყონებლივ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, შექმნას საზოგადოებრივ ცოცხალ ელემენტებისაგან სპეციალისტების კომისია და ამ დიდ თანამედროვე საზოგადოებრივ საქმეს დროზედვე მოუაროს.

ვის ეკუთვნის უზენაესი უფლება

ხშირად იწერება და კრებებზედაც, სხვა და სხვა ორგანიზაციებში კამათი იმართება იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრივი ცხოვრების უზენაესი უფლება, ვინ არის ბოლოს და ბოლოს წყარო და ძირი ყოველგვარი სიმართლისა, ვინ უნდა შექმნას ახალი ნორმები სოციალური თუ პოლიტიკური ურთიერთობისა?

ზოგი ძველებურად პეტერბურგისკენ იცქირება, იქ ეძიებს ყოველივე ცვლილების ცენტრს, იქიდან უნდა მიიღოს რწმუნებულობა, ვექილობა და იქიც დროებით ადგილობრივ ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ასეთ პირებისათვის რუსეთი ერთს ცოცხალ მთლიან ერთეულს წარმოადგენს დღესაც. მათის შეხედულობით რუსეთის სახელმწიფო ისევ არსებობს, თუმცა ფინლანდიამ, უკრაინამ და კიდევ ზოგმა თავისი დამოუკიდებელი არსებობა შექმნა, და რაიმე უფლებრივი მდგომარეობის წარმოშობა შესაძლებლად მიაჩნიათ მხოლოდ ამ სახელმწიფოებრივი ერთეულის მეოხებით. მათთვის უფლების დამწესებელი სახელმწიფო—ამ შემთხვევაში რუსეთის სახელმწიფო—და ადგილობრივ ამა თუ ის

დაწესებულებას შეუძლია მხოლოდ დროებით, როგორც რწმუნებულს რუსეთის დამფუძნებელ კრებისას, დაამყაროს წესიერება და თავის თავად გაუქმდეს, როგორც კი აღსდგება რუსეთის ერთი ცენტრი—ერთად ერთი პატრონი უზენაესი უფლებისა.

ზოგი კი ჰფიქრობს—და სრულიად საფუძლიანადაც—რომ რუსეთის სახელმწიფო უკვე აღარ არსებობს, რუსეთის ერთი დამფუძნებელი კრების მოწვევა განუხორციელებელია და ყოველს შემთხვევაში მისი ლოდინი ძალიან შორს წაგვიყვანდა. მაგრამ ვინ უნდა იყოს ასეთ ვითარებაში სამართლის შემოქმედი? ამიერკავკასიის სეიმიო, გვეუბნებიან: ამ სეიმმა უნდა შეიმუშაოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული ცხოვრების ნორმები, სეიმს ეკუთვნის ამ ჟამად უზენაესი უფლებაო.

თავისთავად იბადება კითხვა: ვინ შემოსა ამ უფლებით სეიმი? ვინ მიანიჭა ნებისყოფა ამიერკავკასიის მკვიდრთა, ვინ დაუდვა საზღვარი თვითონ ამიერკავკასიის ტერიტორიას, ვინ შემოფარგლა ეს ერთეული და ყველა ერს, რომელსაც დღეს ჰგული ხმობენ, ვერს მოექცეს ამ ერთეულის ფარგლებში? და რა არის თვით მცნება ამიერკავკასიისა?

ვერც ერთ ამ კითხვაზე გარკვეულს პასუხს ვერ მოგვცემენ ისინი, რომელნიც სწადიათ უზენაესი სახელმწიფოებრივი უფლება ამიერ-კავკასიის სეიმს მიაკუთვნონ, ვერ მოგვცემენ, ვინაიდან გვერდს უქცევენ იმას, რაც ბუნებრივია, რაც არსებობს და ებღაუჭებიან იმას, რაც ხელოვნურად შექმნილია, რაც უფრო გონებრივი წარმოდგენაა, ვიდრე სინამდვილე.

დღეს დარღვეულია არა მხოლოდ რუსეთი, როგორც სახელმწიფო, დარღვეულია სხვა ყოველივე ტერიტორიალური კავშირიც, რომელიც არ ემყარება უფრო ღრმა საფუძველს. ასეთი საფუძველია დღეს მარტო ეროვნება. ყველაფერი დაირღვა, დაიშალა დანაწილდა, დაჰკარგა ძალა და შემოქმედება, მხოლოდ ერი დარჩა. აღარ არის რუსეთი, აღარ არიან სხვა კავშირები, არიან მხოლოდ ერები და მათი კავშირები. დაუბრუნდით იმ მდგომარეობას, როდესაც ბუნებრივმა ერთეულმა ხელახლა უნდა წარმოშვას ყოველი უფლება და რასაკვირველია სახელმწიფოც. როცა რომელიმე საზოგადოება იშლება, მის შემადგენელ წევრებს უბრუნდებათ ყველა უფლება, რომელიც გადაცემული ჰქონდათ საზოგადოებაზე. ასეთს სურათს წარმოადგენს ამ ჟამად რუსეთის ყოფილი სახელმწიფო. იგი აღარაა, და ერებს დაუბრუნდათ სავსებით უზენაესი უფლებანი.

დღეს უზენაესი უფლება მხოლოდ და მხოლოდ ერების ხელშია და არავის შეუძლიან მიიკუთვნოს ეს უზენაესობა თვით ერების ნებადაურთველად —არც ამიერკავკასიის სეიმს, არც ფაქტიურ რუსეთის დამფუძნებელ კრებას.

ამიტომ ამაოა და ფუჭი ყოველივე ცდა ეროვნების უფლებათა შესაზღუდავად. რევოლუციას ებრძვის ის პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ანგარიშს არ უწევს ამ უდიდეს სინამდვილეს. ახალი ცხოვრების შექმნა შეიძლება მხოლოდ ერების შეუწევნობით. ის კავშირი იქნება მხოლოდ მტკიცე, რომელიც აღმოცენდება ერების შეთანხმებაზე.

ხმ. ფირცხალავა.

ქართველი ერისადმი

მოქალაქენო! რევოლუცია გასაჭირშია. რუსეთში აღარ არსებობს დემოკრატიის თანაგრძნობით და საყოველთაო ხმობით აღჭურვილი მთავრობა. სამოქალაქო ომი გაჩაღდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ბოლშევიკების მთავრობამ თავისუფალი ერების წინაღმდეგ მახვილი აღმართა. ძმათა შორის სისხლი იღვრება. ბნელი ძალები ამოძრავდნენ და იზეიმობენ მსხვერპლებით იკვებებიან. ეს რევოლუციის დასამარებას და სამშობლოს დაღუპვას ამზადებს. ბოლშევიკების თარეში გზას უკაფავს რეაქციის თარეშს.

მოქალაქენო! თქვენ უნდა იხსნათ დიადი რევოლუცია! დადგა დრო, როცა კითხვა იარაღმა უნდა გადასჭრას. ყველანი საომრათ დაირაზმენით. ხალხის თავისუფლების შინაური და გარეშე მტერთაგან დასაცველად დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგ., შვეიცარიაში, დაწესებულია სახალხო მილიცია, ანუ ხალხის საყოველთაო შეიარაღება. ჩვენც აქეთკენ ვისწრაფით. ამ მიზნით ჩვენ გადავწყვიტეთ ახლავე შევუდგეთ სახალხო მილიციის შედგენას. ყველა მოქალაქე 18-დან 45 წლამდე გარდა სამხედრო ბეგარის მომდილეთა, ვალდებული იქნება თავის სოფელში ორი თვის განმავლობაში გამოცხადდეს ხოლმე სავარჯიშოთ და თოფ-იარაღის ხმარების შესასწავლად. ხელმძღვანელებათ დანიშნული იქნებიან სამხედრო ხელოვნების მცოდნე პირები. საქმის მოწყობა და მეთაურობა ადგილობრივ კომიტეტებს დაეკისრება. მიღებულია ყოველი ზომა საკმაო იარაღის შესაძენად და ხალხის საყოველთაო შესაიარაღებლად. როცა ეს განხორციელდება, საქართველო ამ მხრივ დემოკრატიულ შვეიცარიას დაემსგავსება. მაგრამ დრო არ ითმენს. ახლავე საჭიროა სამხედრო საქმეში გაწვრთნილი პირები. მხოლოთ ამ გზით შეიძლება რევოლუციის ხსნა, ქვეყნის დაცვა და ბნელი ძალების ალაგმვა.

და აი ამ მიზნით ამიერკავკასიის კომისარიატი მოქალაქეთ სამხედრო შეკრის მოსახდელად იწვევს. ყველა მოქალაქე 19-დან 25 წლამდე ვალდებულია ჯარში ჩაერიცხოს და ეროვნულ პოლკებში ჩაეწეროს. დღემდის სალდათობა სამნახევარი წელი გრძელდებოდა. **ახლა ჯარის კაცებს მხოლოთ ექვსი თვით იწვევენ.** ეს სახალხო მილიციისაკენ გარდამავალი საფეხურია. დღემდის ჯარის კაცებს შორეულ რუსეთში ისტუმრებდენ და იქ უცხო ენაზე ავარჯიშებდენ. ამიერიდან ჯარში გაწვეული ახალგაზდები უმთავრესათ თავისს სამაზრო ქალაქებში დარჩებიან, თავის ცოლ-შვილს ახლოს, და სამხედრო ხელოვნების შესწავლაც სამშობლო ენაზე მოხდება. ამ ჯარის დანიშნულება იქნება შინაური წესრიგის უზრუნველყოფა რევოლუციის და სამშობლო ქვეყნის ყოველნაირი საფრთხისაგან დაცვა.

მოქალაქენო! ბნელი ძალები და პროვოკატორები შეეცდებიან თქვენთვის გზების აბნევას. უკვე ხმებს ავრცელებენ, თითქოს ამიერკავკასიის კომისარიატი ახალ ომს იწყებდეს. ნუ დაუჯერებთ პროვოკატორებს! ამიერკავკასიის ადგილობრივი მთავრობა ზავს ეტრფის და ყოველი საშვალებით ამზადებს. ბოლშევიკების მთავრობა ხალხს ჰპირდებოდა დაუყონებლივ ზავს, ზავის უანექსიოს და უკონტრიბუციოს ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე, მაგრამ ხალხი მოტყუებული დარჩა ზავს და მშვიდობიანობის ნაცვლად ბოლშევიკების პოლიტიკამ დაბადა საშინელი ანარქია, საყოველთაო დარბევა და ხოცვა-ჟლეტა. ახლა მათ სულ გააშიშვლეს ყველა ფრონტი და მთელი რუსეთი გერმანიის იმპერიალისტების სამსხვერპლოზე გაიტანეს. ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ უნდა შევკრათ ნამდვილი, დემოკრატიული და სამართლიანი ზავი. ამიერკავკასიის კომისარიატს ოსმალეთმა განცხადებით მიმართა, რომ ის მოსურნეა ზავის და ადგილობრივი მთავრობა დაჩქარებით შეეცდება, რომ ზავზე საბოლოო მოლაპარაკებას დაუყოვნებლივ შეუდგეთ.

ახალი ჯარი რევოლუციის დარაჯი და მოქალაქეთა საუკეთესო დამცველი იქნება, ვიდრე სახალხო მილიცია გაიწვრთნება და შეიარაღდება, რომელსაც საბოლოოდ გადაეცემა ხალხის და მისი თავისუფლების სვე ბედი.

მოქალაქენო! ქართველი დემოკრატია მუდამ რუსეთის რევოლუციის მოწინავე რაზმს წარმოადგენდა. ის თავის მოვალეობას პირნათლად შეასრულებს ახლანდელ მძიმე ხანაშიც. დეე, ყველა ახალგაზდა გამოცხადდეს დანიშნულ ადგილებზე ხალხის უფლებათა და ავლადიდების, მიწისა და თავისუფლების მოსაპოვებლად და მაგარი ზავის დასაჩქარებლად.

მოქალაქენო, ასრულეთ თქვენი მოვალეობა!

გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოლიდარობას!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას!

საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ზავის გარშემო

საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, 1 თებერვლის სხდომაზე განიხილა საკითხი ოსმალეთთან ზავის შეკვრისა და დაადგინა: 1) ზავის ძირითად დირექტივებსა და პირობებს ამიერკავკასიის სეიმი შეიმუშავებს, 2) ამიერკავკასიის კომისარიატმა უნდა აირჩიოს კომისია, რომელიც შეიმუშავებს პასუხის ტექსტს ოსმალეთის საზავო წინადადებაზე დანიშნულ ვადისთვის 3) ამიერ-კავკასიის კომისარიატთან უნდა დაარსდეს კომისია, რომელიც გამოარკვევს ზავის საფუძველს, მასალებს დააგროვებს ამ საკითხის შესახებ და მოხსენებას წარუდგენს ამიერკავკასიის კომისარიატს. ეს უკანასკნელი ამ მოხსენებით წარსდგება სეიმის წინაშე; 4) ამიერკავკასიის კომისარიატს ევალება წინასწარი მოლაპარაკება აწარმოოს ოსმალეთთან ადგილის, დროის და დელეგაციის მდგომარეობის შესახებ.

გერმანია და რუსეთი.

გერმანული პრესა ჰკიცხავს იმათ, ვინც ანტიგერმანულ პროპაგანდას ეწევა ავსტრიაში; ეს პროპაგანდა გაძლიერდა მას შემდეგ რაც უკრაინასთან სეპარატიული ზავი შეჰკრეს. გერმანიის პრესა ძლიერ აღშფოთებულია რუსეთით; „ნორდდეიჩერ ცაიტუნგი“ სწერს: „თუ ტროცკი უკანასკნელ შანსაც გაუშვებს ხელიდან, რუსეთს ჩვენ ანგარიშს მოვსთხოვთ. ვერავითარი სიტყვები ვერ შეარყევენ ცენტრალურ სახელმწიფოების გადაწყვეტილებას—არ დაუთმონ დაპყრობილი ადგილები.

ულტიმატუმი რუმინიას

გერმანული გაზეთები იტყობინებიან, რომ გერმანიის მთავრობამ 24 იანვარს რუმინიას ულტიმატუმი წარუდგინა: რუმინიამ ზავის შეკვრა უნდა მოითხოვოს. გერმანია 4 დღის ვადას აძლევს რუმინიას.

უკრაინის სეპარატიული ზავი და გერმანული პრესა.

პრესა სხვა და სხვა ნაირად უყურებს იმას, რომ უკრაინასთან სეპარატიული ზავი შეჰკრეს. გერმანული გაზეთები ხაზს უსვამენ საფრთხეს და ფიქრობენ, რომ უკრაინასთან ზავის შეკვრით კიდევ უფრო გაძნელდა რუსეთთან ზავის შეკვრის საქმე. ეჭვობენ, რომ გერმანიამ და ავსტრიამ სურსათი მიიღოს უკრაინიდან, რადგან ქვეყანაში დიდი რღვევაა და ველიკო რუსეთშიც დიდი კრიზისია სურსათის.

მეორე რევოლუცია

ლენინის სიტყვა საბჭოების მესამე ყრილობაზე.

საბჭოების ყრილობის დახურვის დროს ლენინმა შემდეგი მიმართა ყრილობას: „მსოფლიო ისტორიაში ახალი ერა დაიწყო“. ლენინი შეჩერდა ყრილობის მუშაობაზე და აღნიშნა, რომ მესამე ყრილობამ ახალი სახელმწიფოებრივი სოციალისტური წყობილება განამტკიცა რუსეთი გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. ახალი წყობილება შედეგია მრავალ საუკუნეთა მუშაობისა, შედეგი ძველი მეფურ,—მემამულე—ბურჟუების პოლიტიკის დამსხვრევისა. შესაძლებელი გახდა ხელმწიფება გაეთავისუფლებინა შეძლებული კლასების წარმომადგენელთა ხელიდან და გადაეცა ის მშრომელი ხალხისთვის. საბჭოს რესპუბლიკამ განახორციელა პრინციპი ერთა თავისუფლებისა, რომელზედაც ბურჟუაზია ბევრს ლაპარაკობდა, ხოლო მუდამ ატყუებდა. ის ერები, რომელნიც წინათ რუსეთისაგან ჩამოშორებას ცდილობდენ, ეხლა მასთან მჭიდრო კავშირს ჰკრავენ, მესამე ყრილობამ მიიღო კანონი მიწის შესახებ და ამით მჭიდროდ შეაკავშირეს მუშები და გლეხები. ეს კავშირი სძლევს ყოველგვარ სიძნელეს, რომელიც წინ ეღობება სოციალიზმის განხორციელებას და ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს ამ კავშირს. ადგილობრივ საჭიროა მუშაობის გაცხოველება, რათა ვიხსნათ ქვეყანა საერთო რღვევისაგან და ეს მუშაობა ისეთ წესს შეიმუშავებს კაცობრიობისათვის, როდესაც ყოველივე საკვირველება თანამედროვე ტეხნიკისა ყველასი და თვითოეულის კეთილდღეობას ემსახურება. მომხდარ ამბებმა დაგვარწმუნეს, რომ რუსეთი მარტო არ არის. კიევში ბურჟუაზიული რადა უკანასკნელ დღეებშია, საბჭოების უკრაინა საუკეთესო მეგობარი იქნება რუსეთის, კალედინის ომი იყო დახმარების გაწევა მუშებისა და გლეხებისა ყაზახებისთვის, როგორც კი დაინახეს ყაზახებმა, თუ ვინ არის კალედინი ისინი იმწამვე ამხედრდნენ მის წინააღმდეგ. საბჭოს ჯარი მშრომელთა მხსნელად გამოვიდა დონის ოლქში. ფინლანდიის მაგალითზე დაინახეს, რომ საბჭოები არ არის რუსეთის ჩამორჩენილობის თავისებურობა, არამედ ერთ-ერთი ფორმა მსოფლიო სოციალური რევოლუციისა. ფინლანდიის მუშები მეტის ნდობით მოეკიდნენ რუსეთს მას შემდეგ, რაც აქ საბჭოს მთავრობა დამყარდა. საყურადღებოა, რომ სწორედ ეხლა დაიწყო ფინლანდიაში სოციალისტური რევოლუცია. სოციალურ მებრძოლისათვის მებრძოლთა რიცხვი იზრდება. ვერავითარი გარეშე ძალა ვერ იხსნის ფინლანდიის ბურჟუაზიას დაღუპვისაგან რომ ჩვენი გზა მართალია, ამას დასავლეთ ევროპის ამბებიც ამტკიცებენ მეზობელ კულტურულ ქვეყნებშიც დაარსდა საბჭოების მთავრობა. სოციალური რევოლუცია ვითარდება. პირველი მახარობლები ამ მოძრაობის მარტონი იყვნენ. ლიბკნეხტის მოწოდებას მოჰყვა ფრიდრიხ ადლერის რევოლვერი. ასეთ, ცალკე პირების მოწოდება საყოველთაო არეულობად იქცა და ჩვენ მოწამენი ვართ რევოლუციის დასაწყისისა. ჩვენ ვიცით, რომ კაცობრიობა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე ვერ გადავა და საჭიროა გარდასავალი, ხანგრძლივი პროლეტარიატის დიქტატურისა; ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ რადგან რევოლუცია დაიწყო, ის გაიმარჯვებს და ბურჟუაზიის ბატონობა სამუდამოდ დამსხვრეულია.

მდგომარეობა პეტროგრადში.

ოდესაში ცნობა მოვიდა, რომ პეტროგრადში ცხოვრება საშინელ სურათს წარმოადგენს. სათბობი მასალა სრულებით არ არის. ყინვები დიდია და მცხოვრებნი იძულებული არიან გაუთბობელ ბინებში იცხოვრონ. სათბობი მასალის უქონლობის გამო ტრამვაის მოძრაობა შეწყდა. ელექტრონის ძალას მხოლოდ სად. 7—10 საათამდე აძლევენ. დანარჩენ დროს ქალაქი წყვდიადით არის მოცული. ზოგიერთი სურსათი სრულებით არ არის, არსებულ საგნებზე კი დიდი ფასებია. გირვანქა კარტოფილი 2 მანეთზე მეტს ფასობს, ჰქა რძე მანეთნახევარი, ერბო 15 მანეთი გირვანქა. პურს მხოლოდ გირვანქის მერვედს აძლევენ სულზე, ისიც ხშირად არ ეძლევა მოქალაქეებს, რომელნიც სრულიად უპუროდ რჩებიან. ამის გამო უკმაყოფილება იზრდება.

მდგომარეობა მოსკოვში.

მხოლოდ 15 იანვარს გაიღეს მაღაზიები. 5 იანვრიდან 15-მდე გამუდმებული სროლა იყო, განსაკუთრებით მუშათა უბნებში. აქ ხდებოდა შეტაკებები და სხვ. კრების მომხრეთა და ბოლშევიკებს შორის. ამ შეტაკებების დროს მრავალი მუშა დაიჭრა გუჟონის ქარხნისა. ბოლშევიკები გამარჯვებულად სთვლიან თავს. მშვიდობიან მცხოვრებთა სულიერი განწყობილება ცუდია. პირველ შემთხვევისთანავე ჰყიდიან ქონებას და ფინლიანდიაში და ჩრდილოეთით მურმანზე მიემგზავრებიან, სადაც ჯერ-ხნობით მშვიდობიანობაა. ქალაქში არავითარი საქმე აღარ სწარმოებს. მუშაობს მხოლოდ ილინკა, სადაც უცხო სახელმწიფოთა ფულებით ვაჭრობენ. ფრანკში 2 მანეთს იხდიან. დოლარების ყიდვის დროს რუსულ მანეთს 5 კაპ. აფასებენ. კრონების ფასმა ხაზლაპრომდ აიწია. უცხოეთის ფულს ჰყიდულობენ იმიტომ, რომ პირველ შემთხვევაშივე გაიქცენ საზღვარ-გარედ, ფინლანდიიდან დანიაში.

ლენინის დიქტატურა.

სმოლნის ინსტიტუტმა ლენინის დიქტატურა გამოაცხადა. ეხლა რუსეთში ფაქტიურად ძალა უფლება ორ ადამიანს უპყრია: ტროცკის (გარეშე საქმეები) და ლენინს (შინაგანი საქმეები).

მუშათა და გლეხთა წითელი არმია.

სამხედრო საქმეების სახალხო კომისარმა განაცხადა: რადგან ძალა-უფლებ მშრომელთა ხელში გადავიდა, აუცილებელი გახდა ახალი ლაშქრის შექმნა რომელიც საფუძვლად დაედება მუდმივი ჯარის შეცვლას საყოველთაო შეიარაღებით და ახლო მომავალში გახდება ევროპის სოციალისტური რევოლუციის დამხმარედ. ამის გამო სახალხო კომისრების საბჭომ გადასწყვიტა შეადგინოს ახალი ლაშქარი „მუშების და გლეხების წითელი არმია“ შემდეგ საფუძველზე: მუშათა და გლეხების ლაშქარი უნდა შეადგეს შეგნებულ ელემენტებისაგან. შესვლა შეუძლია ყველა მოქალაქეს 18 წლიდან. წითელ არმიაში შესვლისთვის საჭიროა მოწმობა სამხედრო კომიტეტების, პარტიული დემოკრატიული და საპროფესიო ორგანიზაციებისაგან. წითელ რაზმს შეინახავს სახელმწიფო: გარდა ამისა თვითეულ ჯარის-კაცს მიეცემა 50 მან. თვიურად.

უცხოეთი

რუმინიის კაბინეთის გადადგომა

მინისტრთა კაბინეტი რუმინიაში თანამდებობიდან გადადგა. ახალი კაბინეტის შედგენა მიენდო გენერალ ავარესკის.

აბდულ-ჰამიდის სიკვდილი

ფილტვების ავადმყოფობისაგან გარდაიცვალა ექს სულტანი აბდულ-ჰამიდი.

რუმინიის ძალა

ფრანგული გაზეთები აღნიშნავენ, რომ რუმინიის ლაშქარი ჯერ კიდევ საგრძნობ ძალას წარმოადგენს, რომელიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს გერმანიისათვის, რადგან რუმინელების წინააღმდეგ მხოლოდ მცირერიცხოვანი ლაშქარია გერმანიის მხრით.

ჰოლანდიის მთავრობა იტყობინება, რომ მან მოლაპარაკება გამართა მოკავშირეებსა და ამერიკასთან ხელშეკრულების შესაკრავად. ამ ხელშეკრულების ძალით ჰოლანდიის გემები ჰოლანდიაში გადმოიტანენ სურსათს, ხოლო ჰოლანდიის დანარჩენი ტონაჟი მოკავშირეთა განკარგულებაში იქნება და შესძლებენ საქონლის გადატან-გადმოტანის სუბმარინების მოქმედების გარეშე.

ახალი ამბავი

◆ **ეროვნულ საბჭოს მეშვიდე კრება გაიმართება დღეს თორმეტ საათზე.**

◆ **გენერალ ქუთათელაძის დანიშვნის** გამო ამიერკავკასიის კომისარიატმა მოისმინა-რა დანიშვნა გენერალ ქუთათელაძის ბათომის სიმაგრისა კომენდანტად, დაადგინა: რადგან გენერალი ქუთათელაძე დანიშნულია მცირე საბჭოს მიერ და საოლქო ცენტრის შეხედულობა ამ დანიშვნის საწინააღმდეგო, არ იყო გადაცემული სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისრისთვის,—ამ საქმეს არსებითად არ შეეხოს და მიიღოს მხოლოდ მხედველობაში საოლქო ცენტრის განცხადება.

◆ **გაზეთი ,,სახალხო საქმე‘‘ 6 თებერვლიდან ღირება ტფილისში და პროვინციაში,—რკინის გზაზე—35 კაპეიკი. პროვინციელ აგენტებს გაზეთი დაეთმობა ცალი 24 კაპ. ხელის მოწერის პირობები ჯერ შეუცვლელი რჩება.**

◆ **დებულება ბონების შესახებ** 1) ამიერკავკასიის კომისარიატი გამოსცემს ბონებს ასი მილიონისას. 2) ბონებს ისეთივე გასავალი აქვს, როგორც სახელმწიფო საკრედიტო ბილეთებს და უნდა მიიღოს ყოველმა დაწესებულებამ თუ კერძო პირმა, 3) ბონები იქნება 3, 5, 10, 50 და 100 ღირსებისა.

◆ **არმოოტვიდი.** არმოოტვიდი ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს, რომ რადგან ამ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუარესდა მდგომარეობა—ჯულფა-გუმბრის, და მოსალოდნელია ამ უკანასკნელ ხანებში სავსებით შეწყდეს მოძრაობა ამ სადგურთა შორის და მით ხელი შეუშალოს მიმავალ ჯარს ფრონტიდგან წამოსვლას. საჭიროა საჩქარო ზომების მიღება ყოველივე ანარქიის ეხლავე აღმოსაფხვრელად. როგორც უკანასკნელ დღეებიდგან სჩანს აქაც თავი იჩინა თავდასხმამ მცხოვრებლებზე და მტაცებლობამ. რათა იგივე არ გამეორდეს რაც მოხდა განჯასა და აღმოსავლეთ ნაწილში საჭიროა სასწრაფო დახმარება.

◆ **პოგონების აყრა,** 2 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზე ვორონცოვის ძეგლთან ბოლშევიკ ჯარის კაცებმა პოგონები აჰყარეს ყველა სამხედრო პირთ და ოფიცრებს, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ. იყო სროლაც რომელმაც თავ-ზარი დასცა ახლო-მახლო მცხოვრებთ. მაგრამ წითელი გვარდიის საშუალებით რამოდენიმე ხნის შემდეგ აღდგენილ იქნა წესრიგი.

◆ **სეიმი.** სეიმის მომწვევი ბიურო სთხოვს ქალაქის გამგეობას რათა მან უშოვოს ბინა და საცხოვრებელი სეიმის წევრებისათვის დაახლოვებით 80 კაცისთვის.

◆ **ჟურნ. „მებრძოლთა ხმა“.** გამოვიდა მორიგი ნომერი (№ 17) საქ. სოც. ფედ. მოწაფეთა ჟურნალისა „მებრძოლთა ხმა“ შემდეგის შინაარსით: მეთაური—რევოლუცია და ეროვნული საბჭოები, გ. კიკნაძე—სამშობლო განსაცდელშია, ს.—დაგვიანება სიკვდილს გვიქადის, ივ. წულუკიძე—უცხოეთის მწერლები, ი. წ.—ლექსი, დ. ვოლსკი—ინდივიდუალური ოჯახის წარმოშობა, ლასანიძე—რუსეთის რევოლუციის [illegible] სხვა და სხვა გზით (რომანი), მოწაფეთა ცხოვრება [illegible] სო ქაღალდზეა დაბეჭდილი, სუფთათაა გამოცემული და ღირს 40 კაპ.

◆ **პასუხი ენვერ ფაშას.** გუშინ, ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილების თანახმად, კომისარიატის თავმჯდომარემ ევგ. გეგეჭკორმა დეპეშით აცნობა პასუხი იმ წინადადებისა, რომელიც სამი კვირის წინად მიეცა კომისარიატს ოსმალეთის ჯარის უფროსისგან ზავის ჩამოგდების თაობაზე. გეგეჭკორი აცნობებს, რომ ამ საკითხს გადასწყვეტს ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც 10 თებერვალს იკრიბება, რადგან ეხლანდელი მთავრობა კომისარიატი უფლებამოსილი არ არის მიიღოს თავის თავზე ზავის ჩამოგდების საკითხი. ამასთანავე ის სთხოვს ენვერ-ფაშას დანიშნოს დრო და ადგილი საზავო პირობების შესაკვრელად.

◆ **ტერორი ქართლში.** 1 თებერვალს სოფ. ოხიაურში მოუკლავთ გიორგი ვიბირიშვილი, მეუღლე და ძმის შვილები. ქართლის სხვა და სხვა ადგილას თავად აზნაურობის საწინააღმდეგო მოძრაობა ძლიერდება, რისთვისაც, ქართლის თავად-აზნაურობა ძალზე შეწუხებულია. შუამდგომლობს კომისარიატის წინაშე მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე!

◆ **მორიგი კრება ქალთა კონგრესის** მომწყობ ბიუროსი დანიშნულია დღეს, 4 თებერვალს სალამოს ხუთის ნახევარზედ „ნაკადულის“ რედაქციაში მამა დავითის ქუჩა № 2. ამ კრებაზედ არჩეულ იქნება ბიუროს პრეზიდიუმი და შემუშავებულ იქნება მოქმედების გეგმა.

◆ **წითელ გვარდიელთა რაზმი** ჩამოვიდა გარე-კახეთიდან ქალაქის დასაცველად, რომელთა შორის 40 კაცი ჩვენი ამხანაგებია.

◆ **ქართულ უნივერსიტეტის სტუდენტთა კრება.** დღეს დილის 10 საათზე ქართულ უნივერსიტეტის აუდიტორიაში დანიშნულია სტუდენტთა კრება. განსახილველია სხვა და სხვა საორგანიზაციო საკითხები.

ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

◆ **მოწაფეთა კავშირი.** დღეს 4 თებერვალს სარწმუნოების მიმდევართ მოწაფეთა კავშირი შესდგება. საკათალიკოზო მგალობელთა გუნდის ბინაზე, საკათალიკოზო სასახლეში. წირვის შემდგომ.

◆ **ქართველ მწერალთა კავშირის** კრება გაიმართება დღეს 12 საათზე (ფუილინის ქ.)

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

დღეს, სალამოს სწორედ ექვს საათზე ვსთხოვთ პარტიის კლუბში მობრძანდნენ ყველა ის ამხანაგები, რომელნიც ჯარში მოხალისეებად ჩაეწერნენ, რათა ორშაბათს პირდაპირ პოლკში გამოვცხადდეთ.

— შეერთებული კრება ტფილისის კომიტეტისა, საგუბერნიო კომიტეტისა და რაიონთა წარმომადგენლებისა დანიშნულია ხვალ, 5 თებერვალს, სალამოს 6 საათზე ჯარში ჩაწერის შესახებ. მომხსენებელი იქნება ამხ. იოს. ბარათაშვილი. ამხანაგებს სთხოვენ უეჭველად დაესწრონ.

— გორი, [illegible], თებერვლის 2-ს პარტიულ ბიუროში გაიმართა ადგილობრივ წევრთა კრება მთავარი კომიტეტის წევრის ს. ფირცხალავას თანადასწრებით. ლაპარაკი იყო რევოლუციის და სამშობლოს გასაჭირის შესახებ. კრების შემდეგ მრავალმა განაცხადა სურვილი—მოხალისედ შევიდეს ჯარში.

ჩვენი რაზმელები სასახლეში.

პარასკევს, 2 თებერვალს ნაშუადღევის 2 ს. სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის შეიარაღებული რაზმელები, რიცხვით 300 კაცამდე შეიკრიბნენ პარტიის კლუბში. შემდეგ ამისა ისინი სარევოლუციო სიმღერებით გამოემართნენ ქუჩისაკენ და მიაღწიეს მწყობრად სასახლეს. აქ შეგვიწვიეს თეთრ დარბაზში, სადაც დაგვხვდნენ ეროვნულ საბჭოს და ამიერკავკასიის კომისარიატის წარმომადგენელნი. დარბაზში ირგვლივ დაწყობილ რაზმელებს პირველად სიტყვით მიმართა ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექციის სახელით ნოე რამიშვილმა. მან აღნიშნა განსაცდელი რევოლუ-

ციისა და ჩვენი ქვეყნისა და მოუწოდა ამხანაგებს ხელი-ხელ ჩაკიდებულთ ებრძოლნათ რევოლიუციის გადასარჩენად. ნ. რამიშვილს მოჰყვა ევგ. გეგეჭკორი. მანაც რევოლიუციის და სამშობლოს განსაცდელი აღნიშნა და სთქვა: დავიწყოთ ამ მომენტში შევწყვიტოთ პარტიული უთანხმოებანი, გაუმარჯოს თქვენს აქ მოსვლას, გაუმარჯოს ქართველ დემოკრატიასო. შემდეგ ამხ. შალვა მესხიშვილმა მიმართა ამხანაგებს, ებრძოლნათ იმ მიზნებისათვის, რომელიც ეხლა საფრთხეშია, ხოლო ჩვენს დროშას ყოველთვის ეწერა.

გულწრფელი სიტყვა მისალმებისა სთქვა ვლასა მგელაძემ. ისიც მოუწოდებდა შიგნით ბრძოლისაკენ, ხოლო გარეშე მტერთან ერთად ვიყოთო, რაზმის მხრით ილაპარაკეს: ამხ. აკაკი პაპავამ. კ. გამსახურდიამ და ბესო ქელბაქიანმა. მათ ყველამ აღნიშნეს, რომ დადგა დრო, როდესაც რევოლიუციისაგან გამართლებულ ჩვენს იდეებს ხიფათი მოელის, როდესაც განსაცდელი მოსდგომია მთლად ქართველ ერს და მის ბურჯს დემოკრატიას. ჩვენ, მიუხედავად მოწინააღმდეგეთაგან სასტიკის დევნისა—ყოველთვის ვიბრძოდით ამ ეროვნულისა და სოციალისტური დროშისათვის და ვიბრძოლებთ დღესაც, რადგან საფრთხეშია სამშობლო და რევოლიუციაო. აი, ეს ეროვნული დროშა, სოციალისტურთან ერთად, პირველად ჩვენ შემოგვაქვს ამ სასახლეშიო, სთქვა ამხ. აკ. პაპავამ. ხოლო ამხ. კ. გამსახურდიამ ლამაზად დაასურათა: ამ ეროვნულ-სოციალისტურ დროშის ქვეშ დღეს დადგება საქართველოს ორი ჭაღარა მოსილი ბელადი: ნ. ჟორდანია და გ. ლაშხიშვილიო.

დამსწრე საზოგადოება ყველა მოლაპარაკეს ტაშით აჯილდოებდა.

მისალმება გვითხრა აგრეთვე მაჰმადიანთა წარმომადგენელმა პეპინოვმა და ერთმა დაშნაკცაკანმა. მათ აღნიშნეს, რომ საქართველოში უკვე არსებობს მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი, რაიც მაჩვენებელია ქართველი ერის სიმწიფისა, იგი შესძლებს თავიდან აიცილოს მოსალოდნელი საფრთხე და ძმობა-ერთობა განამტკიცოს კავკასიის ერთა შორისო.

ნაშუადღევის 3 ს. ევგ. გეგეჭკორი, შალვა მესხიშვილი და კომისარიატის სხვა წევრნი გამოეთხოვნენ რაზმს და ისევე მწყობრად, სარევოლიუციო სიმღერებით მან გაიარა გოლოვინის პროსპექტი, ჩაუხვია ბარიათინსკის ქუჩაზე და მერე კლუბში მივიდა.

საოლქო ცენტრის კრება.

2 თებერვალი.

საოლქო ცენტრის კრება, დანიშნული საღამოს 7 საათზე, ძლივს იხსნება 8 ს. 20 წ. აზატიანის თავჯდომარეობით.

კრება უკამათოდ და შეუცვლელად იღებს იმ წესრიგს, რომელსაც თავჯდომარე მოახსენებს. მაგრამ რიგ გარეშე ასარჩევია ორი დელეგატი, რომელიც უნდა ეახლოს იმ ეშალონებს, მეორე დღესით რომ სამშობლო რუსეთისაკენ მიემგზავრებიან. ამას თავმჯდომარე უმატებს, რომ დელეგატებად სასურველია რუსები იყვნენ არჩეულნი—ისინი თვის ტომიანებს უფრო შეეწყობიანო..

მაგრამ ყველა დასახელებული პირი უარს აცხადებს ამა თუ იმ მიზეზით და უნებურად იქნება საბოტაჟის მსგავსი რამ მოვლენო.

ბოლოს, როგორც იქნა, ე. გეგეჭკორის სიტყვის შემდეგ აირჩიეს **ჩეკალინი და ხოხნოვსკი.**

დღიურ წეს-რიგში პირველ საკითხად დასმულია, ე. გეგეჭკორის მოხსენება ომის დასრულების თაობაზე.

გეგეჭკორი ამ საგანზე ამბობს მარტო იმას, რაც უკვე გაზეთებში იყო აღნიშნული კრილენკოს დეკრეტის შესახებ, ამას მხოლოდ იმას უმატებს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატის გარდაწყვეტილებით იგი დეპეშით აცნობებს ენვერ-ფაშას, რომ რადგან კომისარიატი უფლება მოსილი არ არის თავს ნება უფლებით გადაწყვიტოს ეს რთული და დიდი საკითხი ზავისა, ამიტომ იგი საბოლოო გადასაწყვეტად გადაეცემა ამიერკავკასიის სეიმს, რომელიც 10 თებერვალს შეიკრიბებაო. ამავე დეპეშით კომისარიატი შეეკითხა დროსა და ადგილის დანიშვნის თაობაზე საზავო პირობებზე მოსალაპარაკებლადო.

თავმჯდომარე სცნობს ამ საკითხს გამორკვეულად და უნდა მორიგ საკითხზე გადასვლა, მაგრამ **გ. ჟულელი** ჯერ მოითხოვს კომისარიატის განწყობილების გამორკვევას ბოლშევიკურ დეკრეტთან და, მერე როცა ე. გეგეჭკორი იმეორებს ამის საპასუხოდ დაახლოვებით იმავე აზრებს, რაც მის მოწოდებაში იყო გამოთქმული, წინადადებას იძლევა ამ საკითხის გამო კამათი გაიხსნას. 6 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ერთისა (დანარჩენებმა თავი შეიკავეს) კამათი იხსნება, მაგრამ.. მოკამათენი არა ჩანან და კრება გადადის მორიგ საკითხზე, სახელდობრ, უკანასკნელ დღეების ამბებზე.

მომხსენებელია **ე. გეგეჭკორი.**

იგი თავის სიტყვაში ეშელონებს ახასიათებს, როგორც მშვიდობიან ხალხს, რომელიც მხოლოდ ერთი სურვილით მოძრაობს—წავიდეს, რაც შეიძლება მალე სახლში. ამიერკავკასიის მთავრობის გადაყენება მათ სრულებითაც არ აინტერესებთ. იგი ამბობს: თუ ამიერკავკასიის მცხოვრებთა უმრავლესობას დღევანდელი მთავრობა მოსწონთ, დაე ჰყავდეთ, ჩვენ ამაში არ შევეცილებით და არც ძალით მოვახვევთ მოქალაქე შაუმიანის მთავრობასაო. მაგრამ—განმარტავს გეგეჭკორი—ამ ეშელონებში თავგამოდებით მოქმედებს პატარა რიცხვი, მაგრამ მეტად მედგრო თავის მოქმედებაში **ჯგუფი** შაუმიან-კუზნეცოვის მეთაურობით, რომელიც ყოველგვარი საშუალებით სცდილობს სახლისკენ პირმიქცეულ ეშელონების ადგილობრივ გაჩერებას. ამ მხრივ ბოლშევიკებს დიდი მარცხი მოსდით: ამ დღეებში, მაგ., გუმბრიდან მაცნობეს—ამბობს გეგეჭკორი.—რომ თუმცა ბოლშევიკები სცდილობდნენ ეშელონების დაჭერას, ისინი მაინც რუსეთისკენ წავიდნენო... ჩვენ არ ველით ეშელონებთან შეტაკებას—განაგრძობდა მოხსენებელი,—მაგრამ თუ შაუმიანის კომპანიამ გასჭრა და ბრძოლას გამოგვიცხადებენ, ჩვენ ამ ბრძოლას მივიღებთ, სისხლი დაიღვრება...

ამ დროს ისმის ძლიერი კივილი რომელიღაც ჯარისკაცისა: შაუმიანი ჩვენი მხსნელია, თქვენ ვერ შეებრძოლებით ბოლშევიკებს, გეგეჭკორი მოღალატეა და სხვა.

დარბაზში ხმაურობა და ჩოჩქოლია. წესიერების დამღვრევი დარბაზიდან სწრაფად გაჰყვეთ, მაგრამ ის გზა-გზა რაღაცას ჰკივის.

გეგეჭკორი განაგრძობს თავის მოხსენებას, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ისმის უკანა რიგებში რაღაც ჩოჩქოლი, თან ხმაწეული შეყვირება: буду стрѣлять! (ვესვრი!), გეგეჭკორი იყურება სკანდალის ადგილას, დარბაზში მყოფნიც იქით მიაშურებიან და ირკვევა, რომ **გ. ჟულელს და ოფიცერ დავ. ქარცივაძეს** მოსვლიათ უთავლო რაღაცაზე შეკამათება,

ამ ინციდენტის გამო კრება შესწყდა, გარეშე ხალხს ქანდარაზე ასვლა სთხოვეს, სასახლის მცველნი მსწრაფლ ეკვეთნენ ტყვიისმფრქვეველებით და თოფებით იმ დარბაზს, სადაც ცენტრის კრება სწარმოებდა. ამავე დროს ყველა გასავალი კარები ირაზება და ხალხს გარედ აღარ უშვებენ.

გეგეჭკორი განაგრძობს: რათა რევოლიუცია დავიცვათ და ყოველივე უბედურება თავიდან ავიშოროთ საჭიროა მტკიცედ შემოკრბეთ დროებით ამიერკავკასიის მთავრობის გარშემო, რომელიც ეცდება პირნათლად გადასცეს რევოლიუციის მონაპოვარი ამიერკავკასიის სეიმს—10 თებერვალს.

შემდეგ სიტყვას ამბობს **ელინი**; როგორც დელეგაციის წევრი,—რომელიც გაგზავნილი იყო ეშალონებთან მოსალაპარაკებლად და აღნიშნავს თურა პროვოკაციას ეწეოდა კუზნეცოვი ეშელონებში ჯარის-კაცის ტანისამოსში გადაცმული.

ჟულელი: მდგომარეობა მეტად სერიოზულია, ზომები უნდა მივიღოთ რათა ეხლა ამოვფხრათ იმ კონტრ-რევოლიუციონერთა ბუდე,—რომლებიც თავის თავს „ბოლშევიკებს“ უწოდებენ. შემდეგ ის ეხება ბოლშევიკების გამოცხადებულ ზავს და ამბობს; რომ ხალხს რომლითაც შეუძლიათ მოაწეროს ხელი ასეთ სამარცხვინო საზავო აქტს—უნდა ვებრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდისო.. მე ვთვლი მათ ნამდვილ კონტრ-რევოლიუციონერებად და რევოლიუციის მტრებადო.

კამათი წყდება. მიღებულ იქმნა ასეთი რეზოლიუცია: იწონებს-რა ამიერკავკასიის კომისარიატის მოქმედებას შაუმიანისა და კუზნეცოვის შესახებ, წინადადებას აძლევს კომისარიატს იმოქმედოს შემდეგში უფრო აქტიურად და გაბედულად.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ კამათი ამ საკითხის შესახებ ფაქტიურად უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ ესერთა ფრაქციის სახელით მერხალიოვი მოითხოვს სიტყვას და ამბობს, რომ შამქორში მომხდარ ამბების შესახებ დიდ პროვოკაციას ეწევიან ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენს წინაღმდეგ. ამიტომ საჭიროა ადრე გამოირკვეს ყოველივეს და საშუალება მიეცეს ყველას ნათლად წარმოიდგინოს შამხორის ამბები. ის კომისია, რომელიც არჩეულია ცენტრის მიერ, არ არის ავტორიტეტული საზოგადოების თვალში. მოვითხოვ მოხდეს ხელ-მეორედ არჩევა ამ კომისიისა, სადაც შევლენ უფრო ცნობილი და სანდო პირნი.

მერხალიოვს ეკითხებიან თუ ვინ მიაჩნია მას, ასეთ ავტორიტეტულ და ცნობილ პიროვნებად.—მერხალიოვი უპასუხებს: ასეთი ავტორიტეტული პიროვნება და ცნობილი საზოგადო მოღვაწე—რომელსაც იცნობს და ენდობა ყველა არის მაგალ. გ. ლაშხიშვილი. საჭიროა ასეთი პირების შესვლა კომისიაში. შემდეგ მოითხოვს კომისია შესდგეს ასეთ ნაირად: საოლქო პარტიულ კომიტეტისაგან თითო-თითო წარმომადგენელი და ერთი წარმომადგენელი აგრეთვე საოლქო ცენტრისაგან. ამ კომისიამ მთელი თავისი მუშაობა უნდა დაასრულოს დღიდან არჩევისა 10 დღის განმავლობაში.

გ. ჟულელი. წინააღმდეგია მერხალიოვის წინადადებისა—ის მოითხოვს დარჩეს ძველი შემადგენლობა კომისიისა.

რ. არსენიძე. მოითხოვს კომისიას დაემატოს ორი კაცი ესერთა ფრაქციიდან.

მერხალიოვი იმეორებს თავის პირველ წინადადებას. კრებამ უარყო მერხალიოვის წინადადება და მიიღო მეორე წინადადება დამატებითი.

ვლ. გობეჩია მოითხოვს აუცილებლად შევიდეს ამ კომისიაში ესერთა წარმომადგენელი—რადგან მე როგორც წევრს ამ პარტიისა—მაბრალებენ ვითომც მონაწილეობა მიმეღოს შამქორის ამბებში.

ესერთა ფრაქცია უარს ამბობს შევიდეს იმ კომისიაში, რომელსაც ფართო მასა არ ენდობა.

ისევ რჩება ძველი კომისია. შემდეგ ამისა კრება შეუდგა მორიგ საკითხის განხილვას—სამეურო სატეხნიკო საზოგადოების შესახებ.

კრება დასრულდა საღამოს 11 საათ. და 45 წ.

ჩვენი უნივერსიტეტის გამო.

რა სიხარული და ბრწყინვალე იმედების აღმძვრელი არის ქართული უნივერსიტეტის გახსნა, არ არის ისეთი ქართველი, განურჩევლად მიმართულებისა და მსოფლმხედველობისა, რომელსაც არ აუტოკდეს გული შვებით ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის გამო.

რა დაუშრეტელი მასალაა ჩვენი ქვეყანა და მისი ბუნება მეცნიერებისათვის. რამდენი რამ არის გამოურკვეველი, ბურუსით მოცული. ადვილი წარმოსადგენია რამდენი სამზადის მიცემია ჩვენი სამშობლო, მაშასადამე, მეცნიერს.

ჩვენი ახალგაზრდობა, ეჭვს გარეშე, მშობლიურ ენაზე შესძლებს ცოდნით შეიარაღებას უფრო ბუნებრივად, მიზან შეწონილად; იგი ააყვავებს თავისი [illegible] სამშობლოს ჭეშმარიტი კულტურული ძალებით და ამან საქართველოც, ამდენი მიძინებული, დავიწყებული, გათელილი, მეცნიერულადაც წელში გაიმართება საკაცობრიო სამეცნიერო სალაროში ისიც შეიტანს თავის წვლილს-

მეცნიერება ხომ საერთო, თავისი ბუნებით ინტერნაციონალურია, რომელიც აერთებს და [illegible] და სხვა ხალხ[illegible] ძალა, სიმშვიდის [illegible]

ის ერი, [illegible] ჯველი არის საერთო სამეცნიერო სალაროსთვის შემმატი შემომქმედი, მეტის მეტად საბრალოა, ღარიბი, დაქვეითებული პოლიტიკურად, ეკონომიურად გონებრივად. ასეთი ერი ყოველთვის დაჩაგვრისა და სხვისთვის სარგებლიანობის ობიექტია.

ამ გვარ მდგომარეობაში ჩააყენა დაწყევლილმა თვითმპყრობელმა რუსის მთავრობამ ჩვენი ერი.

დიდი ხნით ჩამქრალი ლამპარი ჩვენი გონებრივი ცხოვრებისა დღეს უკვე ისევ ინთება და გვიქადის ჩვენი ქართველთა—ცხოვრების გაცისკროვნებას ცოდნის ცეცხლით, იგეთი ცოდნის, რომელიც მიანიჭებს ჩვენი ერის დაბეჩავებულს მშრომელ მასას თავისი მდგომარეობის ნათლად შეგნებას და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უებარს წამალს.

ბევრი იმედი გვესახება გულში. სასურველია და სავალდებულოც ამ იმედების ხორც შესხმას ყოველმა ჩვენ თაგანმა მთელის ჩვენის არსებით ხელი შევუწყოთ.

დღეს მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაითვალოს ჩვენის მხრივ მცონარეობა, ფუქსავატობა, უდისციპლინობა და გამოუკვეველი, გაუღიდავი მოქმედება. დღეს ვინც აქტიობას ვერ იჩენს, ის თავის არსებობას ძირს უთხრის და საერთო საკაცობრიო იდეალებსაც ასუსტებს, ჩირქს სცხებს?

თუ არ აღვიჭურვეთ სამეცნიერო დისციპლინით და ცოდნისადმი დაუცხრომელი, გაუმაძღარი მიდრეკილებით, ცხადი გახლავთ, უნივერსიტეტი და აკადემიაც [illegible] კვალს დასტოვებენ ჩვენი ერის ცხოვრებაში.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს წინაპრებს [illegible] ძლევამოსილი მეცნიერული მუშაობა და განვითარება, ამ შემთხვევაში სანიმუშოდ ჩვენი ისტორიოგრაფია რომ მოვიგონოთ, საკმარისია [illegible], რომ ჯე 8—9 საუკუნეებში, მე 10—11-ში გვყავდნენ ისეთი ისტორიკოსები, რომელთა მეთოდოლოგია თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისითაც მეტად შესაფერისი და ყურადღების ღირსია.

აი ასეთ სამეცნიერო ლამპრის, [illegible] ყოველივე სიხარულის მტრის [illegible] მისი უფრო მძლავრად [illegible] გვიგზავნის ქართული უნივერსიტეტი, რომლის გახსნის დღე—26 იანვარი—შესაფერისად იდღესასწაულა ქუთაისის [illegible] კლასიკურმა გიმნაზიამ.

[illegible] ეკლესიაში წირვაზე წინამძღვარმა მ. ალ. ცქიტიშვილმა მეტად [illegible] სიტყვით მიმართა ახალგაზრდობას და მლოცველთ უნივერსიტეტის გახსნის მნიშვნელობის შესახებ.

1848 წლის რევოლიუცია საფრანგეთში

(შემდეგი *)

ნაციონალური გვარდიის გარდა სხვა ჯარიც არ ეპყრობოდა ხალხს მტრულად. როგორც კი სროლა შესწყდებოდა, იმ წამსვე ხალხისა და ჯარისკაცთა შორის მეგობრული განწყობილება მყარდებოდა, ხუმრობას ადგილი ეთმობოდა; მოვაჭრე ქალები ეხვეოდნენ სალდათებს, ურჩევდნენ მათ, რომ თავიანთ ძმებისათვის არ ესროლნათ. ამგვარი ქცევა ჯარისა და ზო-
ერი მოთხოვნილება ხალხისა ბრძო-
ს უკარგავდა სასტიკ ხასიათს; ზო-
რთ ადგილებში ჯარის ამა თუ იმ
ლებს იარაღი აჰყარეს; ზოგიერთ
ლებში კი მუნიციპალურ გვარ-
ან შეტაკებამ მკაცრი ხასიათი
ყოველ შემთხვევაში იარაღით
მორალურად ხალხი ყველგან
ბული რჩებოდა. ამ ამბებმა
ინაც მიაღწია, და დუი-ფი-
ნდა და გადასწყვიტა გი-
ტროს გრაფ მოლეს სამი-
ცვლა; ეს იყო რეფორ-
ბის ნიშანი.
ვითომდა ერთგვარი
საზოგადოებრივ
დაცხრა, ქუჩები
გაივსო, მუშათა
ველად წითელი
თ დიდი პრო-
ში თანდათან
რედაქციას-
ამამშვიდებელ
ესია განაგრ-
კინების გ. ლ.
ჯარმა, რო-
ჰქონდა გიზოს
მოლაპარაკე-
-კაცება ხალხს
წყალა ხალხისა
ილი, ზოგიც დაჭ-
ა. „პროვოკაცია“
„შური“, „შური!“
„იარაღია საჭირო!“

ხალხი დაიბნა, მაგრამ სამირად მზადება გაჩაღდა. ღამით 23 დან 24 თებერვალს 1,500 ბარიკადა იყო აშენებული; მუშათა კვარტალებში არავის დაუძინია, მამაკაცები წმინდავდნენ და ლესავდნენ იარაღს, ქალები და ბავშვები პატრონებს ამზადებდნენ. მუშები, რევოლიუციონერები ინტელიგენციიდან ნაციონალურ გვარდიელების კვარტალებში დადიოდნენ იარაღის ჩამოსართმევად; წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

[illegible] დილა 24 თებერვლისა უფრო დაბნელდა თოფის წამლის კვამლით, ბრძოლა ყოველგან გაჩაღდა. [illegible] ხმაურობამ ტიულიერს მიაღწია, და მეფემ გადასწყვიტა დათმობის გზას დადგომოდა. მან დაავალა კაბინეტის შედგენა ტიერს და ოდილონ ბაროს, დინასტიურ ოპოზიციის წევრებს, მაგრამ ამავე დროს მეფე არ უთმობდა ინსურგენტებს [illegible] და ამისთვის მთავარ სარდლად დანიშნა მარშალი ბიუჟო, ყველასაგან მტარვალად მიჩნეული გენერალი. თვით ახალ კაბინეტის [illegible] ტიერისა და ბიუჟოს მონაწილეობით ეჭვის თვალით უყურებდნენ.

გენერალ ბიუჟო დანიშვნისთანავე შეუდგა თავის სამხედრო საქმეს. როდესაც ტიერმა გაუმჟღავნა მას, რომ მდგომარეობა სერიოზულია, გენერალმა სიცილით უთხრა: „თუ არ მოხერხდა აჯანყების ჩაქრობა და გასრესა, მე მაინც მექნება საშუალება და [illegible] ხალხი. ეს ცოტა რამეს ნიშნავს“.—ნუ დაზოგავთ წამალს და ტყვიას—იყო ბრძანება გენერლისა ჯარისადმი.

მაგრამ ხალხის სისხლის ღვრა, როგორც ეს ბიუჟოს სწყუროდა, არ მოხერხდა. ნაციონალური გვარდია მორჩილების ნაცვლად გაიძახოდა: „ძირს ბიუჟო!“ „გაუმარჯოს რეფორმას“.

ბურჟუაზიასაც არ უნდოდა სისხლის ღვრა. ის თხოულობდა დათმობას. ტიერი და ბიუჟო! ძირს მეფე! ერთსულოვნად გაიძახოდა მთელი პარიზი.

მიუხედავად ამისა გენერალ ბიუჟომ მოუყარა ჯარებს თავი სასახლესთან, გაჰყო ჯარი ოთხ ნაწილად და უბრძანა პარიზის უმთავრეს ქუჩებზე ბარიკადების აღება და დანგრევა. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. გენერალ ბედოს ნაწილი, რომელიც პარიზის დიდ ბაღებით მიდიოდა, წააწყდა მაგარ და კარგად დაცულ ბარიკადს. ატეხილმა სროლამ დაანახა გენერალს, რომ სერიოზული ბრძოლაა საჭირო ბარიკადის აღებად; გენერალმა ჯარი შეაჩერა. იმ წამსვე მშვიდობიანად მოქალაქეები გარს შემოერტყნენ ჯარს და ევედრებოდნენ მას რათა ჯარს ხალხისათვის არ ესროლა. ერთმა ფაბრიკანტმა იკისრა ბიუჟოსთან წასვლა და მასთან მოლაპარაკება სროლის შეწყვეტის შესახებ. მართლაც, ფაბრიკანტი მივიდა სასახლეში ბიუჟოსთან, იმ სახით დაუხატა მდგომარეობა, რომ ბიუჟო, რომელსაც გამარჯვების იმედი ისედაც დიდი არ ჰქონდა, ტიერის ზეგავლენით გენერალ ბედოს მისწერა:

„კეთილო გენერალო, მე შევსცვალე ჩემი გეგმა. საყოველთაოდ გამოაცხადეთ სროლის შეწყვეტა. ნაციონალურმა გვარდიამ პოლიციელთა სამსახური გასწიოს. გაავრცელეთ განცხადება, რომ შეთანხმება ჩამოვარდა“.

P. S. ჯარი წაიყვანეთ კარუსელის მოედანზე.

ამასთანავე გამოცხადებული იქმნა, რომ სამინისტრო ტიერისა და ბაროსი შესდგა. გენერალ ბიუჟოს განკარგულება სასიკვდილო ლახვრად გადაიქცა მთავრობისათვის. ჯარის ამ ნაწილებმა რომელიც ცენტრში მოქმედებდნენ, შეწყვიტეს სროლა სრულიად და უკან დახევა იწყეს. შეიარაღებული ხალხი კვალ და კვალ მისდევდა უკან დახეულ ჯარს და ახალ და ახალ პოზიციებს იჭერდა. ჯარის იმ ნაწილებს კი, რომლებიც ბრძოლას აგრძელებდნენ, დახმარება არსაიდან მისდიოდა, ისინი ჰკარგავდნენ პოზიციებს, იარაღს ყრიდენ დამორჩილებას უცხადებდნენ ხალხს... ცეცხლის რგოლი თან და თან გარს შემოერტყა ტიულიერის; სასახლის ახლოს წითელი ბაირაღები ტრიალებდნენ. მოისმოდა ძლიერი ხმა ხალხისა; „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“

მთავრობის განცხადებებს სროლის შეწყვეტის შესახებ ხალხი გლეჯდა და ხევდა. მათ მაგიერ აკრავდნენ პროკლამაციებს, შედგენილს ასოთ-ამწყობი პრუდონის მიერ: „ლუი-ფილიპემ გასცა ბრძანება ჩვენი დახვრეტისა, როგორც კარლოს მეათემ, მაშ თვით ლუი-ფილიპეც წავიდეს კარლოს მეათესთან“.

შეთანხმებაზე და შერიგებაზე უკვე გვიან იყო ლაპარაკი. შეიარაღებულ ხალხს, საერთოდ მთელ მასსას ხელმძღვანელობდნენ უკვე რესპუბლიკანელები.

ხალხის ასეთ სულიერ განწყობილების ამბებმა სასახლემდის მიაღწიეს. თავდაპირველად ჩურჩულით, შემდეგ ხმა მაღლა სასახლეში დაიწყეს ლაპარაკი მეფის გადადგომის შესახებ. მეფე წინააღმდეგი იყო. უეცრად ამ ლაპარაკის დროს მეფის კაბინეტში შეიჭრა აღელვებული რედაქტორი გაზეთ „პრესს“-ისა.

— როგორაა საქმეები, ბატონო დე-ჟირარდენო?—ჰკითხა ლუი-ფილიპემ.

— საქმეებმა იმგვარი მსვლელობა მიიღეს, თქვენო დიდებულებავ, რომ თქვენ ტყუილა-უბრალოდ ძვირფას დროს ჰკარგავთ და თუ ენერგიული გადაწყვეტილება ეხლავე არ იქნება მიღებული, ერთი საათის განმავლობაში საფრანგეთში არ იქნება არც მეფე და არც სამეფო.

— რა ვქნათ?

— გადადექით, მეფევ!

— გადავდგე?!

— დიახ, და გადაეცით რეგენტობა ორლეანის ქალს, ვინაიდგან ჰერცოგ ნემურელს არასოდეს არ მიიღებენ.

— უკეთესია აქვე სიკვდილი—სთქვა მეფემ.

ლუი-ფილიპეს არ შესწევდა ძალა საომრო ბრძოლისათვის და როგორც კი შეატყო რომ მდგომარეობა საშიშოა, იმ წამსვე ბრძანება გასცა, ეტლები დაემზადებინათ წასასვლელად და გადადგომის აქტს ხელი მოაწერა:

„მე უარს ვამბობ გვირგვინზე, რომელიც ხალხის ნებამ გადმომცა, ჩემი შვილის შვილის გრაფ პარიზელის სასარგებლოდ. გამარჯვება ხვდეს მას წილად ამ დიდ საქმეში, რომელიც მას ეკისრება დღეს“.

პარიზი 24 თებერვალი 1848 წ.
ხელი მოაწერა ლუი ფილიპემ.

ამ დროს ბრძოლა უკვე გაჩაღებული იყო ტიულიერის [illegible]: იღებდნენ გამაგრებულ ადგილს შატო-დიოს; ეს უკანასკნელი სიმაგრეც მალე დაეცა, ხალხი უკვე სასახლეშია. მეფე მირბის სენ კლუში და მერმე ინგლისში. რეგენტი ორლეანის ქალი მეფე შვილით გადადის დეპუტატთა პალატაში. მაგრამ ვერ მოასწრეს მოლაპარაკე რეგენტობის ორგანიზაციის შესახებ, ხალხი პალატაში შეცვივდა. ტრიბუნაზე ბაირაღი ფრიალებს, ბრწყინავს იარაღი. „დროებითი მთავრობა! რესპუბლიკა!“ მოისმის გრიალი ხალხისა.

ტრიბუნაზე ლედრიუ როლლენი და ლამარტინი დროებითი მთავრობის მოწყობის შესახებ ლაპარაკობენ. შეიარაღებულ ხალხის რაოდენობა პალატაში თან და თან იზრდება. ასტყდა სროლა. ნაწილი დეპუტატებისა გაიქცა. მეორე ნაწილი შეშინებული ტრიბუნასთან შეჯგუფდნენ. ლედრიუ-როლლენი კითხულობს დროებითი მთავრობის სიას: დიუპონ-დე-ლერი, არაგო, ლამარტინი, ლედრიუ როლენი, გარნიე-პაჟესი, კრემიე მარი.

ხალხი თხოულობს რატუშაში წასვლას, და დროებითი მთავრობაც მიდის პარიზის „ჰოტელ დე ვილის“ რევოლიუციის ჩვეულებრივ ცენტრში. რატუშა ცხარე შეტაკების შემდეგ ხალხმა ჩაიგდო ხელში. მაგრამ იქ შემარცხენეები განაგებენ საქმეს. იქ ფრიალებს არა სამფეროვანი, არამედ წითელი დროშა. იქაც ადგენენ დროებით მთავრობას შემარცხენეებისაგან.

როგორც კი დროებითი მთავრობა რატუშაში მივიდა და თათბირი დაიწყო, იმ ოთახში, სადაც კრება იყო ლუი-ბლანი და ფლოკონი შევიდნენ.

— რისთვის მოსულან აქ ესენი?—კითხულობენ ზოგიერთნი.

— აბა, ბატონებო. ვითათბიროთ,—ამბობს ლუი-ბლანი.

— უეჭველია, მოწყალეო ხელმწიფევ, ჩვენ ვითათბირებთ,—ამბობს არაგო,—მაგრამ არა მანამდე, სანამ თქვენ აქედან გაბრძანდებოდეთ.

ლუი-ბლანმა განაცხადა, რომ მარასტი, ფლოკონი, თვით ის და მუშა ალბერტი დროებით მთავრობაში არიან არჩეულნი კანონიერად, როგორც სხვები.

ცოტაოდენი შელაპარაკების შემდეგ ლუი-ბლანმა და მისმა ამხანაგებმა თავიანთ ადგილები დაიჭირეს დროებით მთავრობაში.

ეს დროებითი მთავრობა მრავალფეროვანი იყო; ის წარმოადგენდა მებრძოლ კლასთა შორის ერთგვარ კომპრომისს. კრემიე და მარი მონარქისტები იყვნენ, ლედრიუ-როლლენი და ფლოკონი რადიკალური რესპუბლიკანელები, ლუი-ბლანი და ალბერტი—სოციალისტები, მუშათა კლასის წარმომადგენლები, არა მათი სურვილის მიხედვით არჩეულნი დროებით მთავრობაში. განცალკევებული მდგომარეობაში იყო მგოსანი-პოლიტიკი ლამარტინი. მისი მდგომარეობა მშვენივრად დაახასიათა კ. მარქსმა:

„ლამარტინის ყოფნა დროებით მთავრობაში არ იყო ნამდვილი წარმომადგენლობა ინტერესების, ეს არ იყო წარმომადგენლობა რომელიმე კლასისა ეს იყო თვით თებერვლის რევოლიუცია, საერთო აჯანყება მთელი მისი ილუზიებით, მისი პოეზიით, მისი წარმოსახვით შინაარსით და მისი ფრაზებით. ყოველ შემთხვევაში ეს ლიდერი, თვისი მდგომარეობით, თვისი მსოფლიო წარმოდგენით ბურჟუაზიას ეკუთვნოდა“ და ლამარტინი გამომხატველი თებერვლის რევოლიუციისა დიდ როლს თამაშობდა დროებით მთავრობაში, ვინაიდგან მას დიდი ლიტერატურული და ორატორული ნიჭი ჰქონდა.

(დასასრული შემდეგ)

ალ. მდივანი.

საქმე“ № 161.

წირვის შემდეგ გიმნაზიის სააქტო ზალაში ქართული უნივერსიტეტის გახსნის მნიშვნელობაზე მეტად წრფელი სიტყვები წარმოსთქვეს: ნ. ტ. გორბუნოვმა, გიმნაზიის დირექტორმა, გიმნაზიის მასწავლებლებმა—ნ. ი. ჭეიშვილმა და ნ. მ. მისაბიშვილმა და მოსწავლეებმაც. მისალოცი დეპეშიც გაიგზავნა.

შეც ქედს ვიხრი ჩვენი დედა ქალაქ ტფილისის ქართულ უნივერსიტეტის წინაშე, ვულოცავთ ჩვენს მოზარდ თაობას და მთელს ქართველ ერს ამ დიდებულს და საზეიმო მოვლენას—ქართული უნივერსიტეტის დაარსებას, რომელიც, უეჭველია, შეგვმატებს ძალას, თავისი თავის რწმენას, გვიხსნის უილაჯო მდგომარეობიდან და შეგვაძლებინებს ჩვენი თავის მოვლას ისე, როგორც შეეფერება კულტუროსან ერს და ჩვენს დემოკრატიას.

ა. გაგუა.

კოოპერატიული მოძრაობა

ხოფ. მოლითი. 14 იანვარს შოხდა მოლითის მომხმ. საზ. „იმედის" წევრთა ჩვეულებრივი კრება, განსახილველი საკითხები იყო: მოხსენება ანგარიშების შესახებ და მისი დამტკიცება, ნოქრის დაქირავება და სხვა, თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ელ. ტალახაძე. სარევიზიო კომისიის წევრმა ვასო ყიფიანმა კრებას წარუდგინა ანგარიში 1 ივლისიდან 31 დეკ. 1917 წ. და აღმოჩნდა შემდეგი:

საწევრო ფული 758 მან., საპაიო 10806 მან. 13 კაპ., გამგეობის მიერ აღებული სხვა და სხვა პირებისაგან, როგორც საწარმოვო თანხა 9070 მანეთი, საკუთარი თანხა 29 მ. 80 კ., წმინდა მოგება 2668 მ. 47 კ. სულ 23332 მ. 40 კ.

საქონელი არის კოოპერატივში საფასო 12359 მან. 30 კაპ., ცხვარი, ტყავეულობა და სხ. 2783 მ. 50 კაპ., ინვენტარი 1050 მ. 60 კაპ., ასაღები სხვა და სხვა პირებისა და დაწესებულებისაგან 2327 მ. 76 კ., შეტანილი საწევრო კოოპერატივთა კავშირში 600 მან., ნაღდი ფული 4211 მ. 34 კ., სულ 23332 მ. 40 კ.

ამ ხნის განმავლობაში გადაბრუნებულა სულ 72363 მან., 9 კაპ., საზოგადოებას ჰქონდა სასადილო, რომლის მოქმედებაც შეჩერებულია.

შენობა, რომელშიდაც არის ხაზინადოების საფაჭრო, მოქალ. კოლა პავლეს ძე კიკნაძეს დაუთმია უსასყიდლოდ პირველ ამ იანვრამდის (6 თვე). შემდეგ ამისა მანვე კომისიის დავალებით განმარტა შემდეგი: გამგეობას (როგორც ზევით არის ნათქვამი) მიუღია სხვა და სხვა პირებისაგან საწარმოვო თანხად 9070 მან. (მაგ. ერთისაგან 5000 მ., მეორესაგან 2000 მან. და სხვა). იმ პირობით, რომ მათ (ფულის შემომტანებს) მიეცეთ რაც შეხვდება მოგებიდან, მაგალითად 25 პროცენტამდე, რაც დიდი შეცდომა არის და სრულიად არ შეეფერება კოოპერატივს. ამიტომ სასურველია მიეცეთ მათ მხოლოდ 8 პროცენტი და შემდეგში კი ასეთი თანხები გამგეობამ მიიღოს მხოლოდ უკიდურეს საჭიროების დროს 8 პროცენტით.

სასადილო, სადაც ხშირად ლოთობა ჰქონდა ადგილი, დაიკეტოს, და თუ საჭიროება მოითხოვს, კოოპერატივში იყიდებოდეს ღვინო და სანოვაგე და იყიდებოდეს წალებით.

შემდეგ მოლაპარაკებისა, კრებამ დაადგინა:

1. დამტკიცა ანგარიში და წმინდა მოგებიდან 668 მ. 47 კაპ., გადასდო გამგეობის ჯილდოდ.

2. პასუხისმგებელ ნოქრად დანიშნა ერასტი ივ. შედლიძე.

3. საწარმოვო თანხას 9070 მან. 1 იანვრამდის მიეცეს მოგება, რაც შეხვდება, მხოლოდ შემდეგში ასეთი თანხები გამგეობამ მიიღოს საჭიროების დროს 8 პროცენტამდის.

4. სასადილო დაიკეტოს და კოოპერატივმა იქონიოს სანოვაგე და ღვინო, რაც იყიდებოდეს წალებით, და

5. მადლობა გამოეცხადოს მოქალაქე კოლა პავლ. კიკნაძეს ექვს თვეს შენობის უფასოდ დათმობისათვის.

კრებაზედ გამოირკვა, რომ საერთოდ წევრები არ არიან კმაყოფილნი კოოპერატივით. უმთავრეს მიზეზად იმას ასახელებენ, რომ გამგეობამ, იმის მაგიერ, რომ მოეტანა სიმინდი, პური და სხვა საჭირო საგნები, იყიდა ცხვრები, ღვინო და ლოთობა გაიმართა სასადილოში. ამას ზედ დაუმატეთ ვაჭრების მითქმა-მოთქმა: „კოოპერატივები გვიშლიან, თორემ სიმინდს, პურს და ფართალს იმდენს მოვიტანდით, რომ ვერც კი მოვერევოდით"-ო და სულიერი განწყობილება ხალხის ისეთია, რომ კოოპერატივს საფრთხე მოელის.

სწორედ ეხლა არის საჭირო გამგეობის ენერგიული მოქმედება. უნდა მიღებულ იქმნას ყოველივე ზომები, რათა მცხოვრებთ მივაწოდოთ, რასაკვირველია შეძლებისდაგვარად, სურსათი და სხვა უსაჭიროესი საგნები. ხშირად უნდა ავუხსნათ მათ, თუ რამ გამოიწვია ასეთი კრიზისი, დავუმტკიცოთ, რომ ვაჭრები და საერთოდ შეძლებულები მტერნი არიან კოოპერატივის და სხ. და იქნებ ვიხსნათ იგი კოოპერატივი დაღუპვისაგან.

ვუსურვოთ კოოპერატივს ალორძინება მშრომელთა საკეთილდღეოდ, მის მეთაურთა მხნე და მუყაით მუშაობით.

ჩამოჩხჩენილი.

საქართველოს ტყეები და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი

ხშირად შევხვდებით ხოლმე გაზეთის ფურცლებზე ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან მოწერილ ამბებს, რომ ამა თუ იმ ადგილს გლეხები სახელმწიფო თუ კერძო მემამულის ტყეს შეესიენ და უმოწყალოდ სჩეხენ და ანადგურებენო. რასაკვირველია ეს მოვლენა ფრიად სამწუხარო და დამაფიქრებელია, ამის შესახებ ეროვნულმა საბჭომაც გასცა სათანადო განკარგულება ადგილობრივ კომისარებისადმი, რათა მათ ყოველივე ზომა მიიღონ და ტყე განადგურებას გადაარჩინონ.

მაგრამ, როდესაც, ტყეს აშკარად აოხრებს და ანადგურებს უცხო ელემენტებისაგან შემდგარი დაწესებულება, თავისი პირადი სარგებლობისათვის რომელიც ვითომდა „თავდაცვის" საქმეს ემსახურება სრულიად მიუტევებელია.

მარტის პირველ დღეებში სამხედრო-სამრეწველო კომიტეტთან დაარსდა ეგრეთ წოდებული „ხატყეო კომისია", ამ კომისიამ თავს იდვა ტყის მასალის დამზადება, როგორც მომქმედ ჯარისათვის, ის რკინის გზებისათვის და მცხოვრებთა სათბობი მასალით უზრუნველყოფა.

კომისიის თავმჯდომარემ ბ მა ზავალიშინმა გამართა მოლაპარაკება სამხედრო მთავრობასთან და 2 მილიონი მანეთიც მიიღო ავანსად. ივნისის 1 რიცხვებიდგან შეუდგნენ „მუშაობას". შეადგინეს მთელი „შტატი" მოსამსახურეთა. („შტატი... საინტერესოა თავისი შემადგენლობით აქ შეხვდებით ყველა ჯურის „ძველი მოხელეს" მაძებარი განყოფილებიდგან, ჟანდარმთა სამმართველოსაგან და სხვ.)

ბევრს თავიდგანაც ეჭვი ეპარებოდა ამ კომისიის „საქმიანობაში", ბევრიც შიშს გამოსთქვამდა, რომ ესენი ტყეებს ტყვილა უბრალოდ გაანადგურებენო და ეს ასეც მოხდა.

გაუგზავნეს ტეხნიკოსები და სხვა მოსამსახურეები ამიერკავკასიის ტყეებში (უმეტესად კი მიზანში ამოიღეს საქართველოს ტყეები) და შეუდგნენ ტყის ჩეხას.

ამ გარემოებამ ადგილობრივ გლეხებში სამართლიანი აღელვებაც გამოიწვია, მაგრამ იძულებული იყვნენ ქედი მოეხარათ, რადგან „სამხედრო" სამრეწველო კომიტეტს „სამხედროს" იარლიკი ეკრა და „თავდაცვის" საქმეს ემსახურებოდა.

თუმცა ახალციხის მაზრაში გლეხებმა თავიანთი გაიყვანეს და მათ იქ მუშაობის ნება არ მისცეს.

საგურამოს ტყე, რომელიც ტფილისზე 25—30 ვერსის მანძილითაა დაშორებული ნახევრად აოხრებულია, კიდევ უარესს მდგომარეობაშია ალაზნის გაღმა მდებარე მშვენიერი მუხის ტყე—თელავის მაზრაში. ასეთი ბედი მოელის ბაღდადის ტყეს ქუთაისის გუბერნიაში, თუ საჭირო ზომები დროზე არ იქმნა მიღებული. ადგილობრივი მიწად-მოქმედების სამმართველოები და მათი ხელქვეითი „ლესნიჩები" პირიქით ხელს უწყობენ ტყის განადგურებას, რადგანაც „სამხედრო" სამრეწველო კომიტეტი მათ შესაფერ „პროცენტებს" აძლევს. მე, თქვენს მონა-მორჩილს, როდესაც ქართლში გლეხებთან საუბარი მქონდა ტყის მნიშვნელობაზე, ასე მიპასუხეს: „ჩვენ გვიკრძალავენ იმ ტყით სარგებლობას, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის და ვილაც მოსული პოდრიაჩიკები აქ ჯიბეს ისქელებენო" სულ ერთია სხვა ანადგურებს, ჩვენ აქ არაფერი გვრჩება და იქნება ეხლა მაინც ვისარგებლოთ ცოტა რამო".

მართალნი არიან გლეხები...

ვინ ისქელებს ჯიბეს. ვისი სიმდიდრით? გუჩკოვის კონტრ-რევოლიუციონური დაწესებულება, რომელსაც მეთაურობს ბ. ზავალიშინი და ჩვენთვის სრულიად უცნობი ელემენტები, როგორიც არიან, ციტლინი, მარკუსი, მეიეროვიჩი, ზაკტრეგერი, აგამალიანცი, კიდევ ზაკტრეგერი, ზვორიკინი და სხვ. ძმანი მათნი, რომელთაც ჩვენი ქვეყნის ბედი ისე აინტერესებთ, როგორც მე ბედი ჩინეთის იმპერატორისა. საჭიროა გამოირკვეს ამ დაწესებულების ფიზიონომია. ვის ემსახურება ის*), რას აკეთებს და ან რა გააკეთა ამ ხნის განმავლობაში გარდა ფულების ფლანგვისა და ჩვენი ტყეების აოხრებისა.

თუ ამიერკავკასიის მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამას, ჩვენმა ეროვნულმა საბჭომ მაინც უნდა მიაქციოს ყურადღება და იხსნას, სანამ სულ გვიან არ იქნება, ჩვენი ტყეები, როგორც საუკეთესო სახსარი ავტონომიურ საქართველოს შემოსავლისა, სრული განადგურებისაგან.

ი. ე. ბოკერია.

---

*) ეხლა ხომ ფრონტი არ არსებობს და „თავდაცვის" მუშაობაზე ლაპარაკიც მეტია.

P. L. როგორც გავიგე მიწადმოქმედების კომისარის თანაშემწე ვ. გელეიშვილი დაინტერესებულა ამ საკითხით და შესაფერ გამოძიებასაც აწარმოებს. საჭიროა დაუყონებლივ დაინიშნოს სასტიკი გამოძიება, ტყეებიც ადგილობრივ უნდა იქმნას შემოწმებული და როგორც სამრეწველო კომიტეტის მესვეურთ, ისე ტყის ადმინისტრაცია პასუხის გებაში იქმნას მიცემული.

ი. ბ.

შემოწირულება

ბ. რედაქტორო!

გაახლებთ ორი ათას მანეთს შეკრებილს ჩემ-მიერ არდასის (ქალაქი დაპყრობილი ოსმალეთისა) ბერძენთა საზოგადოებაში ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოთ და გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

ვთხოვთ ყველა გაზეთებს ეს ცნობა გადაბეჭდონ,

პატივისცემით პორ. თ. ჩიქვალაია

გამომცემელი
სახალხო მიკანცვადა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საზენით და საშვილოსნოს ავადმყოფთ, სადამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

ექიმი
ზ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., სადამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
ი. გ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის-უბნის ქ., № 3. 55

ექიმი
შ. ა მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
თოკაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა სადამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა.
იღებს ავადმყოფებს
ახალ ბინაზე
გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებითს სპეციალურად.
სადამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბომონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის სავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—$3^1/_2$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგეევის ქ. № 1. ტელ. 16—67. 1009

ძ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. სადამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ სამკურნალ. ექიმ ნ. მ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავათმყოფებს (ფსიხოთერაპია) სამშაბათ, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, და პარასკებს 3—5 ს. ოლღას ქ. № 22. 132

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადამოსტაქრო ავადმყოფ[illegible] 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77 1030

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
ვ. [illegible]
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 სა[illegible]

დოქტორი მედიცინ[illegible]
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღ[illegible] საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 105[illegible]

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ჰლექი და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის ტვინის ტიპისა, დიდი სოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველდღე დილის 9—1 ს.-დე და სადამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილ[illegible]
დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნ[illegible]ვერსიტეტისა. შინაგანი, ბავშვ., საბ[illegible]ბიო და საშვილ. სნეულ. მიიღ. [illegible] დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ. უფასოთ მიიღ. ყოველ. დღე დილ. 8—9 ს. სოლოლაკი გუდოვიჩის ქუჩა № 6. მე 3 სართ. 134

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (ხილვილ. ავადმყ.).
ბ. გ. აგახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი
სადამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალურ ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1001

„სახალხო საქმი"-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3[illegible]
ლორთქიფანიძე ლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4 „
[illegible] წ. I	3 „
ქართველი მწერლები.	2 „
უცხოეთის „	2 „
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	—
ჯანაშვილი—„თამარ მეფე".	1 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო".	—
ლორთქიფანიძე ლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი"	—

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიც შესრულდება დაუყო[illegible] წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდე[illegible] მართეთ—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

კოოპერატივ „მეურნეს" მდგომარეობა ანგარიშებით 5 იანვარს 1918 წ.

I სალარო.

1918 წ. 5 იანვრამდე შემოვიდა.	968352.28
„ „ გავიდა	964830.93
ნაშთი 1918 წ. 5 იანვარს.	3521.35

II საქონელი.

საანგარიშო წელს შეძენილია საქონელი.	6 6896.94
მოგება გაყიდულ საქონელზე	70336.64
სულ	687243.58
წლის განმავლობაში გაიყიდა და სხვა.	618937.19
1918 წ. 5 იან. ნაშთი საქონლისა ნაყიდობით	68306.39

III ანგარიში სხვა და სხვებთან.

საანგ. წელს მიიღეთ საქონით, ნაღდი ფულით, სახელდ. ბ. ანგარიშით	595283.63
მიეცით.	590121.87
ნაღდი მეტია გასესხებულზე.	5161.76
საანგ. წელს ჩვენა გვმართებს	56704.04
„ ჩვენი მართებთ	51542.28
ჩვენა გვმართებს	5161.76

IV საფაჭრო ხარჯების ანგარიში

საანგ. წელს დახარჯულია.	52235.92
„ უკან დაბრუნებულია	3217.65
სულ ხარჯია.	49018.27

V საწევრო თანხის ანგარიში.

1918 წ. 5 იანვრამდე შემოტანილია 2984 წევრისა.	34750.50
„ უკან დაუბრუნდა 143 წევრს.	1402—
არის 2841 წევრის	33348.50

VI სათადარიგო თანხის ანგარიში.

საანგ. წ. შემოვიდა საწევრო	2984.—
„ გაყიდ. წიგნაკების	476.45
„ სხვის სახელზე გადაწერით	13.—
„ %ი სამ ბანკიდან	35.24
სულ.	3508.69
უკან დაბრუნებული.	2.—
1918 წ. 5 იანვ. სათადარიგო თანხა	3506.69

VII მოგება ზარალის ანგარიში.

ზარალი		მოგება	
ხარჯები.	49018.27	საქონელმა.	70346.64
წმინდა მოგება	21328.37		
	70346.64		70346.64

ბალანსი

აქტივი.		პა
სალარო	3521.35	ჩვენ გვმარ
საქ. ნაშ.	68306.39	საპაიო
ჩვენი მართებთ	51542.28	სათადარ
	123370.02	1916 წ.
		1917 წ.

გამგეობა
თავმჯდომ
თავმჯდ.
მდივანი
ხაზინადარ
წევრი ვ.

სტამბა „სახალხო საქმის" [illegible]